არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება

№053/01 2018 წლის 5 დეკემბერი ქ. თბილისი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების რეგულაციების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

საქართველოს კანონის - „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 35-ე მუხლის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის 3 ნაწილის, მე-14 მუხლის პირველი ნაწილის, მე-3 ნაწილის „ბ“, „ე“, „ვ“ და „ლ“ პუნქტისა და მე-4 ნაწილის შესაბამისად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

2. დამტკიცდეს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის:

ბ) სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) დანართი №2-ის შესაბამისად;
გ) სამოქმედო გეგმა (სამწლიანი) დანართი №3-ის შესაბამისად;

3. ამ ბრძანების ასლი გამოქვეყნდეს საჯაროდ.
4. ეს ბრძანება თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შესასრულებლად გადაეგზავნოთ უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს/პერსონალს.
5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

პროფესორი, არქიმანდრიტი ადამი
(ვახტანგ ახალაძე)

დანართი №2

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის
სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი)

– **მისია:**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მისიაა:

ა) საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო სივრცეში შეინარჩუნოს ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიციების უმნიშვნელოვანესი მონაპოვრები და უზრუნველყოს მათი შერწყმა თანამედროვე საერთაშორისო ტექნოლოგიურ მიღწევებთან; გამოიყენოს ქართული და ევროპული მეცნიერული სკოლების მემკვიდრეობა და ჩართოს მომავალი სპეციალისტების აღზრდის – ევროპული განზომილებების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების მიღების უზრუნველყოფის საქმეში;

ბ) ხელი შეუწყოს სოციალური მსახურების (მედიცინა და ჯანდაცვა, სოციალური მუშაობა და სოციალური უზრუნველყოფა, ინკლუზიური განათლება, მენტალური ჯანმრთელობის დაცვა, ექთნების/მოწყალების დების განათლება და ა.შ.) გაფართოებას და ამ მსახურებისათვის მზაობის განვითარებას ქვეყანაში; იზრუნოს სოციალურ მსახურებაში ეკლესიის, საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლობათა, ორგანიზაციათა, სოციალურ ინსტიტუციათა ჩართულობაზე; მეცნიერულ და საგანმანათლებლო საფუძვლებზე დაყრდნობით შეიმუშაოს სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესების გზები;

გ) თანამედროვე საზოგადოებაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განსხვავებულ კულტურებს შორის ურთიერთკავშირების განვითარებისთვის ხელშეწყობა, რაც შექმნის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, კულტურათშორისი დიალოგის წარმართვის, კონფლიქტოგენურობის შესუსტებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველს;

დ) მომავალი თაობების აღზრდის მიზნით შექმნას განათლების ევროპული განზომილებების მოთხოვნათა შესაბამი სოციალური, ინსტიტუციური, ეთიკური (ზნეობრივი) და ინტელექტუალური (სასწავლო-მეცნიერული) ბაზისი.

– **ხედვა:**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი მხარს უჭერს გლობალურ ხედვას, რომელიც სცდება პოლიტიკურ და კულტურულ საზღვრებს და აფასებს ადამიანის ღირსებას, საყოველთაო უფლებებსა და თავისუფლებებს განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, აღმსარებლობის ან რელიგიისა.

საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შემუშავებითა და განხორციელებით, უნივერსიტეტი ხელს უწყობს პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ინტეგრაციას მსოფლიო საგანმანათლებლო-სამეცნიერო სივრცეში.

უნივერსიტეტის მიზანია მაღალი ხარისხის განათლების მიწოდება და ფართო ჰორიზონტის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, რომელიც მსოფლიოში მშვიდობის, კაცობრიობის კეთილდღეობის და ბედნიერების საფუძველია.

№053/01 2018 წლის 5 დეკემბერი

– **ღირებულებები:**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ღირებულებაა:

დემოკრატიული იდეალების, ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერა;

საყოველთაოდ აღიარებული ეთიკური გაიდლაინებისა და პრინციპების მკაცრი დაცვა;

უაღრესი პატივისცემა გარემოსადმი და პასუხისმგებლობა დედამიწის რესურსების გამოყენებისადმი;

უკომპრომისო ერთგულება ცოდნის წარმოების, დანერგვისა და გავრცელების მიმართ;

ურთიერთთანამშრომლობის ვალდებულებანი მაღალკვალიფიციურ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება ჩვენს ხედვასა და მისიას;

კეთილი ურთიერთდამოკიდებულებების ჩამოყალიბება საერთაშორისო სტუდენტთა საზოგადოებასთან და მათი მრავალფეროვანი კულტურული და რელიგიური ღირებულებების პატივისცემა;

„საუდიტორიო“ განათლების შერწყმა "რეალური სამყაროს" გამოცდილებასთან, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების გზით;

მჭიდრო თანამშრომლობა კერძო სექტორთან, სამთავრობო უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

– **SWOT (ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და მოსალოდნელი საფრთხეების) ანალიზი:**

ა) ძლიერი მხარეები:

დამსაქმებლის მოთხოვნილებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამები;

სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემო;

მდიდარი ბიბლიოთეკა;

თანამედროვე აპარატურა;

კვალიფიციური აკადემიური პერსონალი;

დინამიური აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი.

ბ) სუსტი მხარეები საწყის ეტაპზე უნივერსიტეტს არა აქვს:

სტუდენტთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა;

კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლის ცენტრი;

ერთიანი საგამოცდო ცენტრი;

სასპორტო დარბაზი;

გ) შესაძლებლობები:

უნივერსიტეტის საერთაშორისო რეპუტაცია;

ჯანდაცვის სექტორში მაღალკვალიფიციური კადრების დეფიციტის შევსება;

სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება;

დ) მოსალოდნელი საფრთხეები:

კონკურენციის ზრდა უნივერსიტეტებს შორის.

– **სტრატეგიული მიზანი, ამოცანები და სამოქმედო გეგმა:**

ა) სტრატეგიული მიზანი:

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზანია ისეთი კადრების მომზადება, რომლებიც მაღალი ხარისხის მომსახურეობას გაუწევენ საზოგადოებას, ექნებათ მეცნიერული ხედვა და სხვადასხვა პრობლემების გადაწყვეტის გზების მოძიებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების უნარი.

ბ) დასახული მიზნების მიღწევის გზები:

საგანმანათლებლო პროგრამების პერმანენტული დახვეწა და საგანმანათლებლო პროცესის ინოვაციური განვითარება;

ახალი პროგრამების შეუშავება დასაქმების ბაზრის საჭიროების გათვალისწინებით;

საგანმანათლებლო პროგრამის განახლება საზოგადოებრივი მოთხოვნილებებისა და ახალი ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტისა და სხვა საერთაშორისო კამპუსების მუდმივი კოორდინაციის უზრუნველყოფა, საერთაშორისო დონის შესაბამისი განათლების უზრუნველყოფის და ურთიერთთანამშრომლობის საერთაშორისო დონეზე განვითარების მიზნით;

პრაქტიკისა და თეორიის შერწყმული გამოყენება;

პოტენციური დამსაქმებელის ინტერესების გათვალისწინება და მათი ჩართვა პროგრამების შემუშავებაში;

სტუდენტისათვის პროფესიონალად ჩამოყალიბების მაქსიმალური ხელშეწყობა;

სამეცნიერო კვლევებისა და ახალი ცოდნის დანერგვის ხელშეწყობა;

საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარება;

სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა;

საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა;

პროფესორის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

გ) სამოქმედო გეგმა 2019 წლის 3 იანვარი – 2026 წლის 3 იანვარი:

N	მიზნები	შესრულების ვადები	შესასრულებელი სამუშაო	პასუხისმგებელი პირ(ებ)ი	მაკორდინირებელი სტრუქტურული ერთეული/პერსონალი	შენიშვნა
1	პროგრამული აკრედიტაციისათვის მზადება	2019 წ. იანვარი-აგვისტო	პროგრამული აკრედიტაციის დოკუმენტაციის შექმნა, ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, სამუშაო ჯგუფის შექმნა/მუშაობის ორგანიზება	უნივერსიტეტის რექტორი, ადმინისტრაციის კოორდინატორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტების დეკანი, სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური, საქმისწარმოებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახური, ბიბლიოთეკა, ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური, სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახური	უნივერსიტეტის რექტორი	დამფუძნებე-ლთან ხშირი ვიზიტები და შეხვედრები სამუშაო ჯგუფთან
2	საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სექტორის მოთხოვნილებისა-მებრ განსაზღვრული მაღალი ხარისხით შესრულების უზრუნველყოფა	მუდმივ რეჟიმში	საერთაშორისო და ნაციონალური/ ადგილობრივი კანონმდებლობის გათვალისწინებით პროგრამების შესრულების მუდმივი მონიტორინგი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ფაკულტეტის აკადემიური საბჭოები ატარებენ სხდომებს ამ საკითხის თაობაზე
3	უნივერსიტეტსა და სხვა საქართველოს/ საერთაშორისო უნივერსიტეტების მუდმივი კოორდინაციის	მუდმივ რეჟიმში	საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის ანალიზი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	თანამშრომ-ლობის მემორანდუ-მები უნივერსიტე-ტებს შორის

	უზრუნველყოფა, სტუდენტის საერთაშორისო დონის შესაბამისი განათლების მიღების მიზნით					
4	ახალი პროგრამების შამუშავება დასაქმების ბაზრის საჭიროების გათვალისწინებით და მიმდინარე პროგრამების განახლება პირობების ცვალებადობასთან შესამამისობაში	მუდმივ რეჟიმში	დაინტერესებული პირების მუდმივი კომუნიკაცია უნივერსიტეტთან	უნივერსიტეტის ფაკულტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი	უნივერსიტეტის რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დამსაქმებელი, დაინტერესებული პირები	ინფორმაციის მუდმივი გაცვლა
5	პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე ორიენტაცია, თეორიისა და პრაქტიკის შერწყმა	მუდმივ რეჟიმში	უნივერსიტეტსა და კლინიკურ/სხვა ბაზებთან ურთიერთთანამშრომლო-ბის მხარდაჭერა	უნივერსიტეტის ფაკულტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი	უნივერსიტეტის რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ინფორმაციის მუდმივი გაცვლა
6	ურთიერთთანამშრომ-ლობის განვითარება საერთაშორისო	2019 წ. 3 იანვარი - 2026 წ. 3 იანვარი	ერთობლივი პროგრამები და სამეცნიერო-კვლევითი პროექტები	უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი	უნივერსიტეტის რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის	ურთიერთ-თანამშრომ-ლობის

	დონეზე		უნივერსიტეტებს შორის		სამსახური	მხარდაჭერა
7	საქართველოს უნივერსიტეტებთან ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შემუშავება	2019 წ. 3 იანვარი - 2026 წ. 3 იანვარი	თანამშრომლობის მემორანდუმები, ერთობლივი პროექტების შემუშავება	უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი	უნივერსიტეტის რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტების დეკანი	ურთიერთ-თანამშრომ-ლობის მხარდაჭერა
8	სტუდენტთა/ პერსონალის გასართობი/ შემოქმედებითი და სასპორტო ღონისძიებების ხელშეწყობა	2019 წ. 3 იანვარი - 2026 წ. 3 იანვარი	სტუდენტთათვის საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა და განვითარება, ადგილობრივ და საერთაშორისო სტუდენტურ ღონისძიებებში ჩართვა	უნივერსიტეტის ადმინისტრაციის კოორდინატორი, ფაკულტეტების დეკანი, სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახური, კულტურისა და სპორტის სამსახური	უნივერსიტეტის რექტორი	
9	უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	2019 წ. 3 იანვარი - 2026 წ. 3 იანვარი	გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა, პროფესორთა გაცვლა, დისტანციური ლექციების ჩატარება	უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი	უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტების დეკანი	
10	ავტორიზაციისათვის და მზადება	2021 წ. იანვარი - ივნისი	ავტორიზაციის დოკუმენტაციის შექმნა, ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, სამუშაო ჯგუფის შექმნა/მუშაობის ორგანიზება	უნივერსიტეტის რექტორი, ადმინისტრაციის კოორდინატორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტების დეკანი	უნივერსიტეტის რექტორი	დამფუძნებე-ლთან ხშირი ვიზიტები და შეხვედრები სამუშაო ჯგუფთან

11	პროგრამული აკრედიტაციისათვის მზადება	2022 წ. იანვარი - ივნისი	პროგრამული აკრედიტაციის დოკუმენტაციის შექმნა, ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, სამუშაო ჯგუფის შექმნა/მუშაობის ორგანიზება	უნივერსიტეტის რექტორი, ადმინისტრაციის კოორდინატორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტების დეკანი	უნივერსიტეტის რექტორი	დამფუძნებ-ლთან ხშირი ვიზიტები და შეხვედრები სამუშაო ჯგუფთან
12	უნივერსიტეტის პრესტიჟისა და რეიტინგის გაზრდა	მუდმივ რეჟიმში	უნივერსიტეტის რეკლამა, სპეციალური ბუკლეტების, ფლაერების, სარეკლამო რგოლებისა დამზადება-გავრცელება; ინტერნეტ სივრცეში დარეკლამება	უნივერსიტეტის ადმინისტრაციის კოორდინატორი, სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახური	უნივერსიტეტის რექტორი	დამფუძნებ-ლთან კოორდინა-ციით
13	საქართველოს დასაქმების ბაზრის შესწავლა და პოტენციური აბიტურიენტების მოზიდვა	მუდმივ რეჟიმში	დამსაქმებლებთან შეხვედრები, აბიტურიენტებისათვის უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება	უნივერსიტეტის ადმინისტრაციის კოორდინატორი, სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახური	უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტების დეკანი	დამფუძნებ-ლთან კოორდინა-ციით
14	ბიბლიოთეკის, ინფრასტრუქტურისა და სასწავლო-კვლევითი ბაზის გაუმჯობესება	მუდმივ რეჟიმში	საჭიროებების გამოვლენა და უზრუნველყოფა	უნივერსიტეტის ადმინისტრაციის კოორდინატორი, ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური	უნივერსიტეტის რექტორი	დამფუძნებ-ლის ხელშეწყობით

- დასკვნა:

სტრატეგიული გეგმა ასახავს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სტრატეგიასა და მიზნებს 2019 წ. 3 იანვარი - 2026 წ. 3 იანვარი - ჩათვლით. გეგმა გადაიხედება ყოველი სასწავლო წელს (მარტის თვეში) და საჭიროებისამებრ მოხდება მისი კორექტირება. სტრატეგიული გეგმის განხორციელების ეფექტურობის შეფასების მიზნით დაინერგება მონიტორინგისა და შეფასების სისტემა.

№053/01 2018 წლის 5 დეკემბერი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის
სამოქმედო გეგმა (სამწლიანი)

N	მიზნები	შესრულების ვადები	შესასრულებელი სამუშაო	პასუხისმგებელი პირ(ებ)ი	მაკორდინირებელი სტრუქტურული ერთეული/პერსონალი	შენიშვნა
1	პროგრამული აკრედიტაციისათვის მზადება	2019 წ. იანვარი - აგვისტო	პროგრამული აკრედიტაციის დოკუმენტაციის შექმნა, ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, სამუშაო ჯგუფის შექმნა/მუშაობის ორგანიზება	უნივერსიტეტის რექტორი, ადმინისტრაციის კოორდინატორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტების დეკანი, სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური, საქმისწარმოებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახური, ბიბლიოთეკა, ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური, სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახური	უნივერსიტეტის რექტორი	დამფუძნებელთან ხშირი ვიზიტები და შეხვედრები სამუშაო ჯგუფთან
2	ინფრასტრუქტურის გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების განხორციელება	2019 წ. იანვარი - დეკემბერი	გადაუდებელი ტექნიკური საჭიროებების გამოვლენა და უზრუნველყოფა	უნივერსიტეტის რექტორი, ადმინისტრაციის კოორდინატორი, ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური	უნივერსიტეტის რექტორი	
3	საბიბლიოთეკო ფონდის კატალოგის	2019 წ. იანვარი -	საბიბლიოთეკო ფონდის სისტემატიზაცია,	უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის პერსონალი, ხარისხის	უნივერსიტეტის რექტორი	ინფორმაციის სისტემატიური

	სრულყოფა, კონკრეტული საჭიროებების დადგენა	აგვისტო	მოთხოვნადი საბიბლიოთეკო მასალის დადგენა და უზრუნველყოფა	უზრუნველყოფის სამსახური, ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური		გაცვალა
4	უნივერსიტეტის ვებ-გვერდის დახვეწა	მუდმივ რეჟიმში	ვებ-გვერდის მუდმივი განახლება,	საქმისწარმოებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახური	უნივერსიტეტის რექტორი	
5	საგანმანათლე-ბლო პროგრამების შესაბამისი სექტორის მოთხოვნილების-ამებრ განსაზღვრული მაღალი ხარისხით შესრულების უზრუნველყოფა	მუდმივ რეჟიმში	საერთაშორისო და ნაციონალური/ ადგილობრივი კანონმდებლობის გათვალისწინებით პროგრამების შესრულების მუდმივი მონიტორინგი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ფაკულტეტის აკადემიური საბჭოები ატარებენ სხდომებს ამ საკითხის თაობაზე
6	უნივერსიტეტსა და სხვა საქართველოს/ საერთაშორისო უნივერსიტეტების მუდმივი კოორდინაციის უზრუნველყოფ, სტუდენტის საერთაშორისო დონის შესაბამისი განათლების მიღების მიზნით	მუდმივ რეჟიმში	საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის ანალიზი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	თანამშრომლობის მემორანდუმები უნივერსიტეტებს შორის

7	ახალი პროგრამების შამუშავება დასაქმების ბაზრის საჭიროების გათვალისწინებით და მიმდინარე პროგრამების განახლება პირობების ცვალებადობასთან შესამამისობაში	მუდმივ რეჟიმში	დაინტერესებული პირების მუდმივი კომუნიკაცია უნივერსიტეტთან	უნივერსიტეტის ფაკულტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი	უნივერსიტეტის რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დამსაქმებელი, დაინტერესებული პირები	ინფორმაციის მუდმივი გაცვლა
8	პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე ორიენტაცია, თეორიისა და პრაქტიკის შერწყმა	მუდმივ რეჟიმში	უნივერსიტეტსა და კლინიკურ/სხვა ბაზებთან ურთიერთთანამშრომლო-ბის მხარდაჭერა	უნივერსიტეტის ფაკულტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი	უნივერსიტეტის რექტორი, ხარისხის ზრუნველყოფის სამსახური	ინფორმაციის მუდმივი გაცვლა
9	დისტანციური სწავლების განვითარება	2019 წ. 3 იანვარი - 2022 წ. 3 იანვარი	დისტანციური სწავლების აწყობა უნივერსიტეტსა და სხვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის	უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, საქმისწარმოებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახური	უნივერსიტეტის რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	დამფუძნებლის ხელშეწყობით
10	ურთიერთთანამ-შრომლობის	მუდმივი რეჟიმი	ურთიერთთანამ-შრომლობის	უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტების აკადემიური და	უნივერსიტეტის რექტორი, ხარისხის ზრუნველყოფის	დამფუძნებლის ხელშეწყობით

	განვითარება		მხარდაჭერა, სხვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების გამოცდილების გაცნობა, სამუშაო ვიზიტი	ადმინისტრაციული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	სამსახური	
11	უნივერსიტეტის პრესტიჟისა და რეიტინგის გაზრდა	მუდმივ რეჟიმში	უნივერსიტეტის რეკლამა, სპეციალური ბუკლეტების, ფლაერების, სარეკლამო რგოლებისა დამზადება-გავრცელება; ინტერნეტ სივრცეში დარეკლამება	უნივერსიტეტის ადმინისტრაციის კოორდინატორი, სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახური	უნივერსიტეტის რექტორი	დამფუძნებელთან კოორდინაციით
12	საქართველოს დასაქმების ბაზრის შესწავლა და პოტენციური აბიტურიენტების მოზიდვა	მუდმივ რეჟიმში	დამსაქმებლებთან შეხვედრები, აბიტურიენტებისათვის უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება	უნივერსიტეტის ადმინისტრაციის კოორდინატორი, სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახური	უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტების დეკანი	დამფუძნებელთან კოორდინაციით
13	ბიბლიოთეკის, ინფრასტრუქტუ-რისა და სასწავლო-კვლევითი ბაზის გაუმჯობესება	მუდმივ რეჟიმში	საჭიროებების გამოვლენა და უზრუნველყოფა	უნივერსიტეტის ადმინისტრაციის კოორდინატორი, ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური	უნივერსიტეტის რექტორი	დამფუძნებლის ხელშეწყობით
14	სტუდენტთა/ პერსონალის გასართობი/	2019 წ. 3 იანვარი - 2022 წ.	სტუდენტთათვის საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა და განვითარება,	უნივერსიტეტის ადმინისტრაციის კოორდინატორი, ფაკულტეტების დეკანი, სერვისების განვითარებისა	უნივერსიტეტის რექტორი	

	შემოქმედებითი და სასპორტო ღონისძიებების ხელშეწყობა	3 იანვარი	ადგილობრივ და საერთაშორისო სტუდენტურ ღონისძიებებში ჩართვა	და კომუნიკაციის სამსახური, კულტურისა და სპორტის სამსახური		
15	პირდაპირი და არაპირდაპირი კონკურენტების დადგენა	მუდმივი რეჟიმი	საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესწავლა	უნივერსიტეტის ადმინისტრაციის კოორდინატორი	უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტების დეკანი	დამფუძნებელთან კოორდინაცია
16	ავტორიზაციისა-თვის მზადება	2021 წ. იანვარი - ივნისი	ავტორიზაციის დოკუმენტაციის შექმნა, ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, სამუშაო ჯგუფის შექმნა/მუშაობის ორგანიზება	უნივერსიტეტის რექტორი, ადმინისტრაციის კოორდინატორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტების დეკანი	უნივერსიტეტის რექტორი	დამფუძნებელთან ხშირი ვიზიტები და შეხვედრები სამუშაო ჯგუფთან
17	სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დანერგვა და გაძლიერება	მუდმივი რეჟიმი	გრანტების მოპოვება, კონფრენციებში მონაწილეობა	ფაკულტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი	უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტების დეკანი	